ხელშეკრულება № 12

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ლაგოდეხი 14 იანვარი 2012 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ირმა სიყმაშვილსა (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ. „ალექსანდრე გელაშვილი"-ს შემდგომში (მიმწოდებელი) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკის და საოფისე ინვენტარის მიწოდება და შეკეთება. ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ღირებულებაა წლის განმავლობაში 500 /ხუთასი/ ლარი. შესყიდვა განხორციელდება ეტაპობრივად მიმწოდებლის ანგარიშზე შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნული ვალუტით.

3. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდების ვადაა 2013 წლის 31 დეკემბრამდე.
3.2. საქონელი მიწოდებული იქნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში.
3.3. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
3.4 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
3.5. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი, მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
3.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
– მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
–წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღების საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
–ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
–ნაბიჯ წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
– განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
– თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას, მიმწოდებლის ხარჯზე ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.
4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.6. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შეუსრულებლობის ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%–ის ოდენობით.
5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით, ერთი თვით ადრე მაინც.
6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.
8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.
8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა.ა.ი.პლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	ი.მ. „ალექსანდრე გელაშვილი"
ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ.№23	ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ.№16
ლიბერთი ბანკის ლაგოდეხის ფილიალი	სს „ბანკი კონსტანტას" ლაგ-ის ფილიალი
ანგ. № GE66LB0115123180251000	ბანკის კ. CNSBGE22
საიდენ. კოდი 233146798	ელ.ფოსტა: aleko24@gmail.com
	ანგ. № GE 12CN0000036102170596
	ტ. № 598 103 660 --- 790 103 660
დირექტორი: ი. სიყმაშვილი	ხელმოწერილია ---------- /ა. გელაშვილი/